



საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

ჯ. კახიძის №15, 0102, თბილისი, საქართველო; ტელ: (+995 32) 295 23 53; ფაქსი: (+995 32) 292 32 11
ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 295 23 53; Fax: (+995 32) 292 32 11
E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

№ გ-04/35-17

10.01. 2017 წ.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

(საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე)

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი სახის ინფორმაცია:

1. რამდენი საშტატო ერთეული იყო დამტკიცებული თქვენს დაწესებულებაში 2016 წლის მდგომარეობით? რამდენი საჯარო მოხელე იყო დასაქმებული თქვენს დაწესებულებაში 2016 წლის განმავლობაში?
2. რამდენი დროებითი მოვალეობის შემსრულებელი პირი იყო თქვენს დაწესებულებაში დასაქმებული 2016 წლის განმავლობაში?
3. რამდენი პირი იყო დასაქმებული თქვენს დაწესებულებაში შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე 2016 წლის განმავლობაში?
4. რამდენი საჯარო მოხელე გათავისუფლდა 2016 წლის განმავლობაში? გთხოვთ, გათავისუფლებულ საჯარო მოხელეთა რაოდენობა მოგვაწოდოთ თვეების მიხედვით;
5. რა წარმოადგენდა საჯარო მოხელეთა გათავისუფლების საფუძველს? გთხოვთ, მიუთითოთ თითოეულ საფუძველთან მიმართებით გათავისუფლებულ საჯარო მოხელეთა რაოდენობა.

6. რამდენი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებული პირი გათავისუფლდა 2016 წლის განმავლობაში? გთხოვთ, განთავისუფლებულ პირთა რაოდენობა მოგვაწოდოთ თვეების მიხედვით;

7. რა წარმოადგენდა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა გათავისუფლების საფუძველს? გთხოვთ, მიუთითოთ თითოეულს საფუძველთან მიმართებით გათავისუფლებულ პირთა რაოდენობა;

პატივისცემით,

ანა ნაცვლიშვილი
თავმჯდომარე

ა. ნაცვლიშვილი

შემსრულებელი
ნინო ცუხიშვილი